

2019 წლის 9 მაისი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 9 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა დასაბუთების მიზნით, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ბ. ზიზზიზიძის ოქმი, მთავარი მსაჯის გ. მშენიერაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 2 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, ქობულეთის „პონტო“-სა და ქუთაისის „არესი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე რევაზ ვერულიძე - კონფლიქტის პროვოცირება
2. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე მირიან თევდორაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე გიორგი ჩაფიძე - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.7 . 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე რევაზ ვერულიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო
2. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე მირიან თევდორაძე დისკვალიფიცირებული იქნას 1 (ერთი) სათამაშო კვირით.
3. ქუთაისის „არესი“-ს მორაგბე გიორგი ჩაფიძე დისკვალიფიცირებული იქნა 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ ქუთაისის „არესს“ დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/